

გამონათქვამში მორფემათა რაოდენობის კვლევა 3-4 წლის ტიპური
განვითარების, ქართულენოვან ბავშვებში

მაია ტეტუნაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა
და ხელოვნების ფაკულტეტზე კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სამაგისტრო პროგრამა: კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ცინცაძე,

ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2021

სარჩევი

აბსტრაქტი	3
შესავალი	6
1. ლიტერატურის მიმოხილვა	9
1.1 ქართული ენის მორფოლოგია	9
1.1.1 მორფოლოგიის საგანი და მორფემის რაობა	9
1.1.2 მორფემების სახეები	9
1.1.3 ქართულ ენაში არსებული მორფემები	11
1.2. ენის ათვისების თეორიები	14
1.2.1. სკინერის ბიჰევიორისტული თეორია	14
1.2.2. ჩომსკის ნატივისტური თეორია	15
1.2.3. ფსიქოლინგვისტური თეორიები	16
1.3. ქართულად მოსაუბრე ბავშვის მიერ გრამატიკის ათვისების კანონზომიერება	17
1.4. გამონათქვამის საშუალო სიგრძის კვლევა	20
1.5. MLU-MPU - რთული მორფოლოგიური სტრუქტურის ენებში	25
2. საკვლევი კითხვა	26
3. კვლევის მეთოდოლოგია	27
3.1. კვლევის დიზაინი	27
3.2. კვლევის მონაწილეები	28
3.3. კვლევის პროცედურა	28
3.4. შედეგების ანალიზი	35
3.5 დასკვნა	37
გამოყენებული ლიტერატურა	39

აბსტრაქტი

ბავშვის ენობრივი გავითარების ნორმალური მაჩვენებლები მნიშვნელოვანი მონაცემებია ენის ტიპური განვითარების სურათის მისაღებად რათა მის საფუძველზე მოხდეს დარღვევათა და ნორმიდან გადახრათა იდენტიფიცირება და მათი დროული აღმოფხვრა. ენის განვითარების შეფასება სხვადასხვა მიზნით და მეთოდით შეიძლება მოხდეს იმის მიხედვით თუ რა გვანტერესებს. ერთ-ერთი მაჩვენებელი, რომლითაც ბავშვის ენობრივ განვითარებას აფასებენ არის MLU - გამონათქვამის საშუალო სიგმე. ის გულისხმობს გამონათქვამში მორფემათა რაოდენობას. მიჩნეულია, რომ სწორედ მორფემათა, როგორც უმცირესი აზრობრივი ერთეულების, რაოდენობა ასახავს ბავშვის გრამატიკულ კომპეტენციას დაზოგადად, ენობრივ განვითარებასაც. MLU-ს განსაზღვრას იყენებენ როგორც ენობრივი განვითარების შესაფასებელ მაჩვენებელს სხვა მონაცემებთან ერთად, ისე ზოგიერთ კვლევაში საკვლევი ჯგუფების შესარჩევადაც (თანაბარი ენობრივი კომპეტენციის მქონე ჯგუფების შესადარებლად - MLU-კონტროლი).

წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს ქართულენოვანი ბავშვებისთვის MLU-ს დასათვლელი პროტოკოლის შესამუშავებლად მისი 2 ვარიანტის გამოცდასა და მათი გამოყენებით MLU-ს საშუალო მაჩვენებლების განსაზღვრას 3-4 წლის ბავშვებში.

ჩატარდა არწერიტი ხასიათის კვლევა. გამოყენებული იყო 2 ტიპური განვითარების, ქართულენოვანი ბავშვის (გოგონა და ვაჟი) - 3 დან 4 წლამდე პერიოდში ლონგიტუდურად აღებული ვიდეომასალა და ტრანსკრიპტები. ბავშვებს გავლილი ჰქონდათ ფსიქიკური განვითარების შესაფასებელი ტესტი. (მასალა ჩაწერილი იყო ენის კორპუსისთვის). შევარჩიეთ სამ-სამი ასაკობრივი კატეგორია - 3;00, 3;06 და 4;00 წელი თითოეული ბავშვისთვის. ტრანსკრიპტებიდან შევქმენით MLU-ს დასათვლელი ენობრივი ნიმუშები და დავითვალეთ თითოეულში MLU-ს მაჩვენებელი. აღვწერეთ მიღებული შედეგები.

შედეგები: ქართულენოვანი ბავშვების MLU-ს მაჩვენებელი მცირედით ($\approx 0.6-0.8$ ერთეულით) აღემატება ინგლისური ენის ნორმებს, მაგრამ ასაკობრივი ზრდის მაჩვენებელი 3-დან 4 წლამდე პერიოდში 0.2 ერთეულით ნაკლებია ინგლისური ენის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. ორ საცდელ ვარიანტს შორის განსხვავება ის იყო, რომ I ვარიანტით დათვლისას $\approx 0.2-0.3$ ერთეულით მეტ შედეგს ვღებულობდით, ვიდრე II ვარიანტით დათვლისას. და ასაკობრივი ზრდის მაჩვენებელიც 0.03 ერთეულით აღემატებოდა პირველი ვარიანტით დათვლისას.

დასკვნა: ორივე ვარიანტი ასახავს ბავშვის ენობრივ განვითარებას, უმნიშვნელოდ მეტი ასაკობრივი ზრდა აჩვენა პირველი ვარიანტით დათვლამ. უფრო ზუსტი შედეგებისთვის სასურველი იქნება სხვა ასაკობრივ კატეგორიებზეც მოისინჯოს ეს ვარიანტები და ისე გადაწყდეს მათი არჩევა.

საძიებო სიტყვები: ქართულენოვანი ბავშვი; ენობრივი განვითარება; MLU - გამონათქვამის საშუალო სიგრძე;

Abstract

Normal indicators of a child's language development are important data to get a picture of a typical language development in order to identify disorders and deviations from the norm and eliminate them in time. Language development can be assessed for different purposes and methods depending on what we are interested in. One of the indicators by which a child's language development is assessed is the MLU – the mean length of utterance. It is believed that the number of morphemes as the smallest units of thought reflect the grammatical competence of the child in general, as well as language development. The definition of MLU is used as an indicator of language development along with other data, as well as an indicator of language development along with other data, as well as in some

studies to select study groups (for comparison of groups with equal language competence – MLU –control).

The purpose of this study is to test the MLU counting protocol for Georgian-speaking children in its 2 variants and to use them to determine the average MLU rates in 3-4 year old children.

The design of the study was descriptive. Videos and transcripts taken longitudinally from 2 typically developed Georgian-speaking children (girl and boy) aged 3-4 were used. 3 age categories – 3;00, 3;06 and 4;00 were selected for each child. Language samples were done and MLU was calculated. The results were described.

Results: the MLU of Georgian-speaking children was 0.6-0.8 points higher than the English language norms, but the growth rate in the age group of 3 to 4 years is 0.2 points lower than the similar rate of the English language. The results with variant I were 0.2-0.3 units higher than those with variant II. And the age growth rate was also 0.03 units higher when counting with the variant I.

Conclusion: both variants reflect the language development of the child, slightly more age growth was shown by counting with the variant I. For more accurate results we need further research with other age categories.

Key words: Georgian-speaking children; language development; MLU – mean length of utterance;